პენალტი რას მიქვია!

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 6 აპრილი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 0:2 (0:1).

“ჩერნომორეცი”: ნეფიოდოვი, ნეჩაევი, ლეშჩუკი, გრიგორიევი, ზუბკოვი (როდიონოვი), ფეიდმანი, ბუტენკო, ტომაშევსკი (დოროშენკო), ძიუბა, მაკაროვი, საპოჟნიკოვი.

“დინამო”: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, მჭედლიშვილი, ყიფიანი.

მსაჯი: ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

“ჩერნომორეცის” პირველმა მერვედფინალურმა მატჩმა სსრ კავშირის თასზე თბილისის დინამოელებთან დიდი ინტერესი გამოიწვია შავიზღვისპირა ქალაქში. გასაგებია ოდესელ ფეხბურთელთა სწრაფვა წარმატებით აღნიშნოს თავიანთი დაბრუნება უმაღლეს ლიგაში.

მატჩი ძალზე საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდი თამაშობდა გაშლილად, შეტევებით და უკვე პირველი 15–20 წუთის განმავლობაში როგორც ერთ, ისე მეორე კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა. ანგარიშის გახსნა შეეძლოთ ჯერ მაჩაიძეს, შემდეგ ძიუბას, ბუტენკოს, მჭედლიშვილს. ძნელი ბურთების აღება მოუხდათ მეკარეებს გაგოშიძეს და ნეფიოდოვს.

დინამოელებმა ოთხი ნახევარმცველით და ორი თავდამსხმელით ითამაშეს, მაგრამ თავდასხმის ხაზში იერიშის დასასრულს სისტემატურად გადიოდნენ მაჩაიძე, ასათიანი, მჭედლიშვილი. განსაკუთრებით აქტიური იყო მჭედლიშვილი, რომელიც შესაფერის მომენტებში ზუსტად ურტყამდა შორიდან. ერთ–ერთმა ასეთმა შორეულმა დარტყმამ შეუცდომლად მიაღწია მიზანს 42–ე წუთზე – 1:0.

განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და მჭედლიშვილმა კვლავ გამოიჩინა თავი: 47–ე წუთზე მან მიიღო გუცაევის გადაცემა, სწრაფად განთავისუფლდა და მეორედ აიღო ნეფიოდოვის კარი.

მიუხედავად ამ ანგარიშისა, მასპინძლები ბოლომდე ენერგიულად იბრძოდნენ მატჩის სახსნელად. 82–ე წუთზე მათ საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობაც მიეცათ, როცა მსაჯმა 11–მეტრიანი დარტყმა დანიშნა “დინამოს” კარში. მაგრამ აქ შესანიშნავად ითამაშა მეკარე გაგოშიძემ. მან ჯერ მოიგერია ნეჩაევის პენალტი, შემდეგ კი საიმედოდ აიღო ბურთი ხელთ.

თბილისელებს კიდევ ჰქონდათ ხელსაყრელი შესაძლებლობანი (ყიფიანი, ასათიანი, გუცაევი), თუმცა გამარჯვება მეტოქის მინდორზე 2 ბურთის სხვაობით სავსებით საკმარისი იყო. დინამოელთა ეს გამარჯვება მეოთხედფინალში გასვლის საიმედო გარანტიაა.

“ლელო”, 7 აპრილი, 1974 წ.